პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 183 (5213)

1974 წ. 15 სექტემბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## როზემარი ვიტჩასს იმედი აქვს...

როცა რომის ოლიმპიურ სტადიონზე ევროპის XI ჩემპიონატის მონაწილეთაგან სიმაღლეზე მხტომელ ქალთა ასპარეზობის სარბიელს ექვსი სპორტსმენი შემორჩა, თამასა უკვე 189 სმ სიმაღლეზე იყო აწეული. ახლა ჩემპიონობისთვის დავა მხოლოდ ამ ექვს მძლეოსანს უნდა გაეგრძელებინა. მეტოქეთა შანსები უთანაბრო გახლდათ: ახალი სიმაღლე ვერც ერთ მეტოქეს რომ ვერ გადაელახა, ოქროს მედალს როზემარი ვიტჩასი (გდრ) მიიღებდა, ვინაიდან მან ყველა მანამდელი სიმაღლის დასაძლევად თითო ცდა დახარჯა, მაშინ როცა, მაგალითად, გალინა ფილატოვას 186 სანტიმეტრის გადასალახავად სამივე ცდის გამოყენება დაჭირდა.

ცხადია, ასეთ დიდ შეჯიბრებაში პასუხისმგებლობის გრძნობა და ყოველი ზედმეტი ცდა სპორტსმენს ჰქანცავს, ისე რომ, ფილატოვასაც, მ. ჰიუბნეროვასაც (ჩეხოსლოვაკია), რ. კირსტსაც (გდრ) და იტალიელთა იმედს ს. სიმეონსაც გამარჯვების იმდენი შანსი აღარ ჰქონდათ, რამდენიც მ. კარბანოვასა (ჩეხოსლოვაკია) და ვიტჩასს.

ჰიუბნეროვასა და ფილატოვასთვის 189 სმ დაუძლეველი აღმოჩნდა, სოლო, როცა სიმეონმა ეს სიმაღლე დაიმორჩილა, იტალიელ გულშემატკივართა აღტაცება დიდხანს არ დამცხრალა. 189 სმ სიმაღლეს კირსტიც გადაევლო, მაგრამ გერმანელს საამისოდ უფრო მეტი გარჯა დასჭირდა. ეს სიმეონს ბრინჯაოს მედლის გარანტიას აძლევდა, უფრო მაღალი ღირსების მედლისთვის კი 21 წლის სპორტსმენს ახალი ძალები უნდა გამოენახა.

191 სმ ვერც სიმეონმა და ვერც კირსტმა ვერ გადალახა. ახლა ოქროსა და ვერცხლის მედლების ბედი კარბანოვასა და ვიტჩასის დუელში უნდა გარკვეულიყო. მაგრამ მეტის გაკეთება ვერც კარბანოვამ შეძლო. გერმანელ სპორტსმენს ყველა ჩემპიონობას ულოცავდა, ის კი ახალ წარმატებაზე ოცნებობდა: ჯერ 193 სმ დაძლია, მერე 195 სანტიმეტრზე გადებულ თამასასაც ჯადაევლო და სანტიმეტრით გააუმჯობესა ბულგარელი ი. ბლაგოევას მიერ შარშანწინ დამყარებული მსოფლიო რეკორდი.

მართალია, ვიტჩასის მორიგი ცდა — 197 სმ გადაელახა, მარცხით დამთავრდა, მაგრამ მიზანთან იგი სულ ახლოს იყო, განსაკუთრებით, მესამე ცდისას. ვიტჩასი იმ დღის ნამდვილი გმირი გახლდათ. მის წარმატებას ხელი შეუწყო რაციონალურმა ტექნიკამ, დაუზაბავად ასპარეზობამ.

როზემარი 175 სანტიმეტრია და 59 კილოგრამს იწონის. ფილატოვა მასზე 11 სანტიმეტრით მაღალია, კარბანოვა — 2 სანტიმეტრით, თანაც იგი გერმანელზე 5 კილოგრამით მსუბუქია. როგორც ჩანს, სიმაღლე და წონა მაღალი შედეგების მოპოვებაში განსაკუთრებულ როლს მუდამ როდი თამაშობენ.

პრეს-კონფერენციაზე ვიტჩასს არ დაუმალავს, რომ ასეთი წარმატების იმედი არ ჰქონდა. მაგრამ ისიც დასძინა: საკუთარ შესაძლებლობებში ახლა კი დავრწმუნდი და მსოფლიო რეკორდი ისევ მე უნდა გავაუმჯობესო.

ო. ზილაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

რომი — თბილისი.

* * *



სურათზე: რ. ვიტჩასი რომის ოლიმპიურ სტადიონზე ასპარეზობისას.
„მორნინგ სტარის“ (ლონდონი) ფოტო.



## ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

### ჩემპიონატის ქრონიკა

13 აგვისტოს მოსკოვში შედგა ჩემპიონატის მორიგი მატჩი: ცსკა — „არარატი“.

ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 50-ე წუთზე გაიტანა მარქაროვმა, გამარჯვება ერევნელ ფეხბურთელებს მოუტანა —1:0.

არმიელთა გუნდის მარცხი ადარავის აკვირვებს. ჩემპიონატში იგი აშკარად ცუდად თამაშობს, თანაც, მწვრთნელები გაუთავებლად ცვლიან კოლექტივის შემადგენლობას.

სტუმრობს ცსკა

## ტიტული სულაც არ არის გარანტია

მიუნხენი, 13 სექტემბერი. ადგილობრივ ოლიმპიურ სტადიონზე დიდ ინტერესს იწვევს მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება ბრაუნის თასზე. ფ. მელნიკმა ამჯერადაც დაამტკიცა, რომ მას ბადროს ტყორცნაში მსოფლიოში არ ჰყავს ბადალი. ამ შესანიშნავმა მძლეოსანმა ქალმა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება სწორედ აქ მიიღო ორი წლის წინათ. მოსკოველმა ამჯერადაც გადააცილა 69-მეტრიან ზღვარს — 69,24 მეტრზე ტყორცნა ბადრო.

თუმცა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული სულაც არ იძლევა გამარჯვების გარანტიას. აი, მიუნხენის ოლიმპიადის სამი ოქროს მედლის მფლობელმა რ. შტეკერმა (გდრ) დაძაბულ ბრძოლაში წააგო 100 მეტრზე რბენა. გაიმარჯვა ინგლისელმა ა. ლინჩმა — 11,29 წამი. შტეკერი მას წამის მეასედით ჩამორჩა.

ვ. პოდლუჟნი აქ უფრო შორს გადახტა, ვიდრე რომში, როცა ევროპის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა. გამარჯვებული დონეცკელი ათლეტის შედეგია 817 სმ.

800 მეტრზე რბენაში როსტოველმა ვ. პონომარიოვმა II ადგილი დაიკავა (1.46,92), მხოლოდ კონტინენტის ჩემპიონს ლ. სუშანს (იუგოსლავია) ჩამორჩა 0,28 წამით. ასევე მეორე იყო სტავროპოლელი ვ. პენზიკოვი, რომელმაც ბადრო 62,64 მეტრზე ტყორცნა. ამ სახეობაში გაიმარჯვა ამერიკელმა მ. უილკინსმა — 63,66 მ. III ადგილზე გავიდა ვოროშილოვგრადელი ვ. ჟურბა — 60,72.

სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ცდების მიხედვით განაწილდა (სამივე მოასპარეზემ 185 სმ დაძლია): მ. მრაჩნოვა (ჩეხოსლოვაკია), ოლიმპიური ჩემპიონი უ. მაიფარტი (გფრ), გ. ფილატოვა (მოსკოვის ოლქი).

1500 მეტრზე ქალთა რბენაში პირველი იყო ევროპის ჩემპიონი გ. ჰოფმაისტერი (გდრ) — 4.06,01. ფინიშთან მეორე იყო ყარაგანდელი გ. გერასიმოვა — 4.17,60.

ჩებოქსარელ ნ. პუკლაკოვს მესამე შედეგი აქვს 5000 მეტრზე რბენაში — 13.46,4. გაიმარჯვა ს. ჰოფმანმა (ჩეხოსლოვაკია) — 13.43,6.

ქალთა შორის ბირთვის კვრაში ბადალი არ ჰყავდა ლენინგრადელ ნ. ჩიჟოვას — 20,20 მ. მაგრამ შეუძლებელია პატივისცემა არ გამოიწვიოს მელნიკის შედეგმა (19,39), რომლითაც ფაინამ დამაჯერებლად მოიგო II ადგილი.

400 მეტრზე ბარიერებიანი რბენის შედეგები ასეთია: დ. სტუკალოვი — 49,60, ვ. სავჩენკო — 49,73, მ. კოდეიში (ჩეხოსლოვაკია) — 50,00.

კიდევ უფრო უკეთესად იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა 100 მეტრზე. ამ სახეობაში სამივე საპრიზო ადგილი მათ ხვდათ: ა. კორნელიუკი — 10,59, ვ. ბორზოვი — 10,60, ი. სილოვი — 10,62.

200 მეტრზე ქალთა რბენაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა შტეკერმა — 23,12. მომდევნო საპრიზო ადგილებზეც გავიდნენ ლ. მასლაკოვა (23,33) და ნ. ბესფამილნაია (23,68).

800-მეტრიან დისტანციაზე ქალთა ბრძოლაში საუკეთესო აღმოჩნდა ჰოფმაისტერი — 1.59,85. მეორე იყო ნ. მორგუნოვა (2.01,90), ხოლო მესამე — გფრ-ის წარმომადგენელი გ. კლიაინი (2.02,68).

სიმაღლეზე ხტომაში I ადგილი დაიკავა მსოფლიო რეკორდსმენმა დ. სტოუნზმა (აშშ) — 223 სმ. ვ. აბრამოვი გამარჯვებულს 3 სანტიმეტრით ჩამორჩა.

400 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ფრანგმა ფ. დემარტონმა — 46,69. ს. კოჩარის დროა 46,93.

ი. ბარანი (ჩეხოსლოვაკია) საუკეთესო იყო 1500-მეტრიან დისტანციაზე — 3.47,05.

## ტენისხიდელთა ახალი წარმატება

სულ ერთი თვე გავიდა, რაც ტინისხიდის საკოლმეურნეობათშორისო მეძროხეობის სანაშენე მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდმა „ნაკადულმა“ გორის რაიონის თასი დაისაკუთრა. სულ ახლახან ტინისხიდელებმა ახალ წარმატებას მიაღწიეს: „ოქროს თავთავის“ რაიონული თასის ფინალურ მატჩში ანგარიშით 2:1 დაამარცხეს ხიდისთავის კოლმეურნეობის გუნდი.

ნ. ბაბუნიშვილი.

სოფ. ტინისხიდი,
გორის რაიონი.

## სპორტული „ელექტრონი“

ლვოვის საწარმო-ტექნიკური გაერთიანება „ელექტრონის“ „ჯანმრთელობის საამქრო“ თავისი ფართობით ამ დიდი საწარმოს ყველა დანარჩენ საამქროს სჭარბობს. მისი „მონაკვეთები“ აერთიანებენ ქალაქის ცენტრალური სტადიონის „დრუჟბის“ თალს, ოდესის მახლობლად მდებარე დასვენების ბაზას „ჩერნომორკას“, ვინიკის სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსს... სწორედ აქ, ვინიკის ბაზაზე, რომელიც ლვოვის თვალწარმტაც გარეუბანში მდებარეობს, ტრადიციისამებრ ტარდება გაერთიანების სპარტაკიადები, რომელთა პროგრამაში უცვლელად შედის მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება.

— მიმდინარე სეზონში ჩვენ უკვე ათობით შეჯიბრება ჩავატარეთ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, — მოგვითხრობს „ელექტრონთან“ მოქმედი სპორტული კლუბის „კარპატის“ თავმჯდომარე ი. ბასალიგი. — ამან საშუალება მოგვცა ფიზკულტურის სისტემატურ მეცადინეობაში ჩაგვება გაერთიანების 5500 მუშაკი.

ხელსაწყოთმშენებელთა განკარგულებაშია მძლეოსნობის, მშვილდოსნობის და საციგაო სპორტის ოცამდე სექცია, სპორტული სკოლები. იზრდება „ელექტრონის“ მოწინავე სპორტსმენების მასობრიობა და ოსტატობა.

სპორტულ სამყაროში უკვე ცნობილია მძლეოსნების გ. ბესჯევის, ვ. სოკურის, წყალსათხილამურო სპორტის წარმომადგენლების ნ. ჩუბუჩნის, ს. ჟიდკოვას, ვ. პროკოპენკოს სახელები. წლეულს საკავშირო სარბიელზე გავიდა ქარხნის ბადმინტონისტთა გუნდიც.

ვ. ბელიაევი.
(საქდესის კორ.).

ლვოვი.

## ძალოსნები მანილისკენ მიიჩქარიან

ფილიპინების დედაქალაქი მანილა ახლა ძალოსანთა დიდი ფორუმის მოლოდინშია. ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრება ამ ქვეყანაში ჯერ არ გამართულა. მოელიან 87 ქვეყნის 200-მდე ძალოსანს, რომელთაგან ზოგიერთებმა უკვე აიღეს კურსი მანილისკენ. მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება 21-29 სექტემბერს, მაგრამ ამთავითვე საჭიროა შეეგუო ადგილობრივ პირობებს, გაითვალისწინო დროის სხვაობაც.

დღეს მანილაში გაფრინდება სსრ კავშირის ნაკრები. მის შემადგენლობაში 11 ძალოსანია. ესენი არიან გამოცდილი ოსტატები — რიგელი ვ. ანიკინი (მჩატე წონა), ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოველი მ. კირჟინოვი და ლვოველი პ. კოროლი (ორივე — მსუბუქი წონა), მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. კურენცოვი (ქვესაშუალო), მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, მოსკოველი ვ. რიჟენკოვი (საშუალო), მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, შახტელი დ. რიგერტი და ხმელნიცკელი ს. პოლტორაცკი (ორივე — ქვემძიმე წონა), ევროპის ჩემპიონი, როვნოელი ვ. უსტიუჟინი (მძიმე), ყველა ტიტულის მფლობელი, მსოფლიოს უღონიერესი ადამიანი, შახტელი ვ. ალექსეევი (ზემძიმე), აგრეთვე, ორი დებიუტანტი — ორსკოველი ნ. კოლესნიკოვი (ქვემსუბუქი) და თემირთაუელი ი. ზაიცევი (მძიმე).

საუკეთესოთა ამ სიაში არ არიან ამას წინათ დაშავებული ძალოსნები დ. შანიძე და ლ. ჟაბოტინსკი.

— ყველა საბჭოთა ათლეტი შეჯიბრებისთვის მზადაა, — უთხრა საქდესის კორესპონდენტ ი. ხრომოვს სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. მედვედევმა. — ჩემი აზრით, ბრძოლა მანილის ფიცარნაგზე უფრო მწვავე იქნება, ვიდრე ევროპის ჩემპიონატზე იყო ვერონაში. შედეგებიც უფრო მაღალია მოსალოდნელი, ვფიქრობ, გამარჯვებისთვის, უკიდურეს შემთხვევაში ოთხ წონით კატეგორიაში, საჭირო იქნება მსოფლიო რეკორდების დამყარება ორჭიდში. საბჭოთა სპორტსმენების მეტოქეთაგან პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ ბულგარელთა ახალგაზრდული გუნდი, რომელშიც რამდენიმე მაღალი კლასის სპორტსმენია. ამ გუნდთან მეტოქეობამ ევროპის ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრებს გამარჯვება მხოლოდ ფინიშზე მოუტანა. მხედველობაში მისაღებია სხვა ქვეყნების ძლიერი სპორტსმენებიც. მათი რიცხვი თანდათან მატულობს, ვინაიდან ძალოსნობა სულ უფრო პოპულარული ხდება.

საჭდესის ცნობები

**გ. მერკვილაძე,**

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

# საბჭოთა ფიზიკური კულტურის საწყისები საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თამარმა პეტერბურგში გაიარა ჩეხური ტანვარჯიშის სკოლა ერბენის ხელმძღვანელობით, შემდეგ განათლება მიიღო ჩეხეთში და შვედური ტანვარჯიშის სისტემა შეისწავლა ლონდონის სპეციალურ სკოლაში. თამარმა გაიარა აკადემიკოს პავლოვის ფიზიოლოგიური სკოლა და ლენინგრადის გერცენის სახელობის ინსტიტუტში ფიზიოლოგიის კათედრაზე დატოვეს სამუშაოდ. ამას გარდა, იგი კარგად ხელმძღვანელობს მასწავლებელთა მომზადებას თბილისში, „განათლების" პედაგოგიურ სასწავლებლებში. სხვა არავინ გვეგულება მისებრ მომზადებული ამ კათედრისთვის.

ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ადგილიდან წამოიძახა: თამარ ნიკოლაძის შეხედულებები პოლიტიკურად მიუღებელიაო.

შალვა წამოდგა და ორი სიტყვით მოჭრა: „პეტროგრადში მე თვითონ ვნახე თამარი, როგორც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თანამშრომელი. გამიკვირდა, მაგრამ ფაქტია. ესეც რომ არ ყოფილიყო, მაგ ხაზომით მე მყავს ერთი კანდიდატურა (შემოიკრა შუბლზე ხელი). თქვენ რატომ არ გაგახსენდათ, ჰა? — და დაასახელა რესპუბლიკის დიდი პოლიტიკური მოღვაწე. — ვინ არის წინააღმდეგი?"

კრება გაჩერდა. შალვამ განაგრძო: „მე ვარ წინააღმდეგი, რადგან ჩვენ ფიზკულტურისა და სპორტის თეორიის მასწავლებლად პირველ ყოვლისა გვჭირდება სპეციალისტი, ჩვენი პლატფორმისა, რასაკვირველია, თქვენ კი მას უნდა შეუქმნათ ყოველგვარი პირობები, მოამზადოთ კომკავშირული აქტივისგან მომავალი დიდი სპეციალისტები. დამტკიცდეს უნივერსიტეტის კანდიდატურა — თამარ ნიკოლაძე".

ასეთი იყო შალვა.

შ. ელიავამ სხვა დროსაც ბევრჯერ გამოავლინა საქმის ცოდნა და დიდი პოლიტიკური ალღო. ერთ-ერთ სხდომაზე (საკითხი ეხებოდა სპორტის განვითარებას რესპუბლიკაში) ჩვენ მოვახსენეთ, რომ მოსკოვსა და უკრაინაში, უმთავრესად შემთხვევითი ხალხის — არასპეციალისტებისა და უპრაქტიკო ექიმების დასკვნების შედეგად, ტანვარჯიშის იარაღებიც კი განდევნეს დარბაზებიდან, ვინაიდან ამ იარაღებზე წინათ „სოკოლები" და „შევარდენები" ვარჯიშობდნენ.

— ნება რომ დაგრთოთ, თქვენ შეძლებთ ერთი კარგი დღესასწაული მოაწყოთ თბილისში? — გვკითხა შალვამ.

ეგნატაშვილმა უპასუხა: თუ დაგვეხმარებით, შევძლებთო.

შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი შალვა მათიკაშვილის თავმჯდომარეობით. 1926 წლის 9 იანვარს დამტკიცდა დებულება, ვარჯიშები. სსრ კავშირში პირველი ოფიციალური შეჯიბრება 1928 წელს, სამხედრო ოლიმპიადის დროსაა აღნიშნული. ჩვენში კი ეს ასპარეზობა 1926 წელს მოეწყო. შ. ელიავას შემართების შედეგად. დავიბარეთ, გ. ეგნატაშვილის გარდა, სხვა სპეციალისტები: გიორგი ჩიკვაიძე, პეტრე მარღახიძე, გიტო გიორგიძე, ვალერი შერშოვი, ალექსანდრე კუზმინი, ვასილ ვერულაშვილი, მიტო სამუშია, აბესალომ იოსავა და სხვ. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დაავალა სპორტსმენთა მომზადება სხვადასხვა სახეობაში. მაგალითად, მათიკაშვილი ხელმძღვანელობდა ტანვარჯიშისა და სროლის სექციებს, „დინამოს" თავმჯდომარე სამუშია — ფეხბურთელებს, ილია ჭელიძე — მძლეოსნებს და ა. შ. მათ თავდაუზოგავად იმუშავეს, რომ პირველი რესპუბლიკური შეჯიბრებები ჩაგვეტარებინა მძლეოსნობაში, სროლაში, ფეხბურთში, კალათბურთში, ხალხურ ცხენოსნობაში, ქართულ ჭიდაობაში, კლასიკურ ჭიდაობაში, ჭადრაკში და სხვა სახეობებში.

ერთ-ერთი სხდომისთვის შალვამ მოგვთხოვა მოგვეყვანა ქართული ჭიდაობის სპეციალისტი, მოწინავე და ავტორიტეტული მოჭიდავე ვანო წამალაშვილი (გლდანელი), რომელიც ბევრჯერ ენახა ჭიდაობის დროს ცირკში და იცნობდა. მანვე ცხენოსნური შეჯიბრების მოსაწყობად სენაკიდან ჩამოგვაყვანინა ისაკ კიზირია. სოფლად ჭიდაობის აღსადგენად ღონისძიებათა დამუშავება ლადო აბაშიძესა და ვანო კიკნაძეს დაევალათ, ხოლო ცხენოსნობისთვის ხელის შეწყობა — ჟორა ქავთარაძეს და ისევ შალვა მათიკაშვილს. ფეხბურთსა და მძლეოსნობაში შეჯიბრების ჩატარებაში გიტო გიორგიძეს უნდა დახმარებოდნენ თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ივანოვ-კავკასკი და ვასო სიხარულიძე (თბილისის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე), ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობის გამართვაში ეგნატაშვილსა და ვერულაშვილს — ბერელაშვილი (შტაბიდან), დავით კანდელაკი და მარიამ ორახელაშვილი, მოჭადრაკეთა შეჯიბრების მოწყობაში სასამართლოს პასუხისმგებელ თანამშრომლებს ვახტანგ ერისთავს, იოსებ ბლიაძეს და ცნობილ პოეტ პაოლო იაშვილს — გიორგი ყურაშვილი, ილია ჭელიძე და პროფკავშირები.

## „წუთის პატივისცემა"

შალვა ძალიან დატვირთული იყო და ბევრჯერ სამშაბათ-პარასკევი დილის 10 საათიდან ლოდინში გაგვიტარებია. შემსვლელი და მოსაქმე ბევრი იყო და ჩვენ თავმჯდომარის მისაღებ ოთახში, მდივანთან ვიცდიდით. ბევრჯერ ჟორა ქავთარაძისთვის გვითხოვია მოსულიყო. ისიც, მიუხედავად დიდი დატვირთვისა, მოგრიალდებოდა თავისი ავტოთი. მას მუდამ შეეძლო თავმჯდომარესთან შესვლა. ერთხელ ჟორამ უთხრა შალვას: პრაქტიკული მუშაკები ერთგვარ შიშს გამოთქვამენ, ვაითუ მოსწყინდა ჩვენი დახმარება, ამდენს რომ გვაცდევინებსო. შალვამ გაგვიღიმა და დაგვამშვიდა: ამის შემდეგ 10 საათზე უეჭველად მიგიღებთო. მე შევაპარე: იქნებ 10 საათსა და 3 წუთზე მიგვიღოთ, ჩვენთვის ეს უფრო მოსახერხებელია-მეთქი. შალვა დაფიქრდა, გაიღიმა და მიპასუხა: „ვიცი, რასაც მიწყობთ. თქვენ, ძველ ტანმოვარჯიშეებს, ჩვეულებად გქონდათ წუთისადმი პატივისცემა. გიორგი ნიკოლაძემ მიამბო, რომ ის სხდომებს 7 საათსა და 7 წუთზე იწყებდა. კარგი, ვნახოთ, ძველი „შევარდენი" უფრო ზუსტი იქნება, თუ ახალი საბჭოთა სპორტის ხელმძღვანელი".

ასე დაწესდა საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის დღის განრიგში „ფიზკულტურის საათი". ეს ამბავი შემდეგ თავსატეხი გაგვიხდა. ყოველი სპორტული ღონისძიების დასაწყისს შალვა წუთებით ზომავდა, მოითხოვდა „წუთისადმი პატივისცემას". ეს სხვა ორგანიზაციებშიც დიდხანს იყო მისაბაძ მაგალითად.

ომის წინა წლებში, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად გიორგი ცქიტიშვილის ყოფნის დროს, ჩატარდა პიონერთა რაზმეულების შეჯიბრება „მობილურობაში". შეჯიბრების ამოცანა იყო თბილისის მთელი პიონერული ორგანიზაციის სწრაფი მობილიზაცია, საქალაქო შეკრების პუნქტში წინასწარ დადგენილი გრაფიკის მიხედვით დანიშნულ დროს გამოცხადება და მთავარი მსაჯისთვის პატაკის ჩაბარება. მთავარი მსაჯი იყო თვით გ. ცქიტიშვილი (მოადგილე — ნ. სეფაშვილი). რაზმეულებმა იცოდნენ, რომ შეკრება ჩატარდებოდა გამოცხადების დღიდან (ორშაბათიდან) ერთი კვირის განმავლობაში, ხოლო დღე და საათი მათთვის უცნობი იყო. საათს შეკრების დღეს 12 საათამდე აცნობებდნენ რაზმეულს ტელეფონოგრამით. მობილიზაციის დანარჩენი ხერხები თვით რაზმეულს უნდა დაედგინა. შეკრების ვადები ასე იყო გათვალისწინებული: მიკრორაიონისთვის — 30 წუთი (ერთი ორს აცნობებდა, ორი — კიდევ ორ-ორს და ასეთი პროგრესიით ერთ საათში ათეული იყრიდა თავს). ათეულს რაიონის ცენტრში გამოსაცხადებლად სათ-ნახევარი ეძლეოდა, რაიონიდან ქალაქის შესაკრებ პუნქტში მისასვლელად — კიდევ საათ-ნახევარი. ამრიგად, მთელი პიონერული ორგანიზაციის შეკრება სამ საათში იყო განზრახული.

ცდა გამართლდა. რაიონის კოლონები მთავარ მსაჯს პატაკს აბარებდნენ 3-3 წუთის ინტერვალით, დანიშნულ ვადაში. როგორც ადრე მოსული, ისე დაგვიანებული რაზმეულები ქულებით ისჯებოდნენ. ეს სიზუსტე და „წუთისადმი პატივისცემა", რომელიც საბჭოთა ფიზკულტურაში შ. ელიავას თაოსნობით დაწესდა, თითქმის ომამდე შემორჩათ ჩვენს ორგანიზაციებს.

• • •

შალვას ძალიან აინტერესებდა სპორტსმენთა ცხოვრება, ძველი ორგანიზაციების მუშაობა, ხშირად გვაამბობინებდა წინანდელ ეპიზოდებს. ერთხელ ქართულ ჭიდაობას ვესწრებოდით და წესების დადგენის მიზნით ერთ-ერთ პროექტს ვამოწმებდით. ლოჟაში შალვამ გვკითხა მე და დავით ჯავრიშვილს (იმ დროს აჭარის განათლების სახალხო კომისარიატის ინსპექტორს), მენშევიკები ყურადღებას აქცევდნენ თუ არა თქვენს ორგანიზაციასო. ჩვენ ვუთხარით, რომ მენშევიკებს ერთი კაპიკიც არ მოუციათ ორგანიზაციისთვის, არც ერთი მენშევიკი „შევარდენთა კავშირის" საბჭოში არ ყოფილა, ეგ კი არა, ხიკო ნიკოლაძის შუამდგომლობის შედეგად ჭიათურის მრეწველთა საზოგადოებისგან 1921 წელს დაპირებული პატარა თანხაც ვერ მივიღეთ, რადგან ისე გაიქცნენ საქართველოდან, დივიდენდების განაწილება ვერ მოასწრეს. ეს ორგანიზაცია თუ გაიზარდა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, როცა განსახკომმა და „ვსევობუჩმა" მისცეს მას შტატები, იარაღები და საოპერაციო თახები.

მენშევიკებს ძალიან უნდოდათ „შევარდენის" ხელში ჩაგდება, მაგრამ ვერ მოახერხეს. გიორგი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ბორკილი, რომელიც ერთ დროს პირველ ქართულ ტანვარჯიშულ საზოგადოება „ამირანს" დაადგეს, „შევარდენისთვის" აეცდინა.

ერთხელ გ. ნიკოლაძეს ნებართვა დასჭირდა არსენალში ტანვარჯიშის იარაღების დამზადებისთვის და მენშევიკების ერთ-ერთ ბურჯს, ქალაქის თავ ბენია ჩხიკვიშვილს მიაკითხა. ჩხიკვიშვილი დაინტერესდა „შევარდენით".

— როგორ შეიძლება „შევარდენში" მოხვედრა? — ჰკითხა მან გიორგის.

— უნდა მობრძანდეთ ვარჯიშზე, გაიხადოთ კოსტუმი, ჩაიცვათ სავარჯიშო ტანისამოსი და დადგეთ მწყობრში, როგორც დგანან პროფესორები ანდრია რაზმაძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე, მრავალი დოცენტი, პედაგოგი, ინჟინერი, პოეტი...

— სხდომებსაც სავარჯიშო კოსტუმით უნდა დავესწრო? — იკითხა გაკვირვებულმა ბ. ჩხიკვიშვილმა, რომელსაც თურმე ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში მოხვედრა უფრო აინტერესებდა, ვიდრე ვარჯიში.

გიორგიმ უთხრა: „შევარდენთა" კავშირს კრებებისთვის დარბაზის გარდა ბინა არა აქვს. თუ ხანდახან თქვენს კაბინეტს დაგვითმობთ, სხდომას ზუსტად დათქმულ საათებში დავიწყებთ და დავამთავრებთო.

„შევარდენთა" კავშირის ხელმძღვანელობაში მოხვედრის სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ბ. ჩხიკვიშვილმა მართლაც დაგვითმო კაბინეტი ერთი სხდომის ჩასატარებლად, სადაც ის თბილისის „შევარდენთა" კავშირის თავმჯდომარედ უნდა აგვერჩია. ეს კი ნიშნავდა, რომ მენშევიკური მთავრობა „შევარდენის" ხელმძღვანელობაში „შეაღწევდა". ეს ამბავი გიორგის მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა, ამბობდა: ქარისა არც შემოტანილი გვინდა, არც გატანილიო.

— როდის შეგიძლიათ დაგვითმოთ კაბინეტი? ჩვენთან ასეთი წესია, რომ სხდომას ზუსტად დანიშნულ დროს ვიწყებთ.

— შეიძლება 20 საათსა და 45 წუთზე?

შეთანხმდნენ ამ დროისთვის.

შინ გიორგიმ დებს უთხრა: თუ დროზე არ მოვიდა, არ ავირჩევთო.

მართლაც, ქალაქის თავმა სხდომაზე დააგვიანა. ამის გამო ის არც გამგეობაში ავირჩიეთ და ჟურნალ „შევარდენშიც" დავწერეთ, რომ ბენია ჩხიკვიშვილმა საბჭოს სხდომაზე დაიგვიანა.

ასე ჩაიშალა მენშევიკების მთავრობის ცდა, რომ ვინმე დაესვა „შევარდენის" ხელმძღვანელობაში.

ერთხელ შალვამ გვითხრა:

„ჩვენ საბჭოთა ხელისუფლების დაარსების პირველი დღიდანვე მივიღეთ ზომები, რომ ეს ორგანიზაცია დაგვექვემდებარებინა განსახკომისთვის და შემდეგ სამხედრო-საზღვაო კომისარიატისთვის. ამის გეგმა მე, სერგომ და მამიამ პირველი დღიდანვე გავატარეთ".

ჩვენთვის ნათელი გახდა იმ ღონისძიების აზრი, რაც პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელებმა მიიღეს „შევარდენის" გამოსაყენებლად 1921-დან 1923 წლამდე.

## გერმანიაში ფეხბურთელთა გუნდის გაგზავნის ცდა

1925 წლის დასაწყისში თბილისში „წითელი სპორტული ინტერნაციონალიდან" მივიღეთ გერმანელ მუშათა სპორტული კავშირის წერილი ამიერკავკასიის ფეხბურთელთა გუნდის მიწვევის შესახებ. შემდეგ გამოირკვა, რომ ამ ღონისძიებას მეტად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, როგორც „სპორტინტერნის" წარმომადგენელი (მგონი ლემბერგი, გენერალური მდივანი) ელაპარაკა მთავრობის თავმჯდომარეს, გერმანული საზოგადოებრიობა მოწამლული იყო 1924 წლის მენშევიკური ავანტიურის შედეგების შესახებ გავრცელებული ჭორით, ვითომც საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი ქართველი ახალგაზრდობა გაწყვიტა და „შევარდენის" ყოფილი ხელმძღვანელობიდანაც არავინ დატოვა. შალვამ გამოგვიძახა დავით ჯავრიშვილი და მე.

— თქვენ „შევარდენში" იყავით?

— მე თბილისის „III შევარდენის" შემდეგ ბათუმის „I შევარდენის" ვარჯიშთავი ვიყავი, დავითი კი ჯერ ქუთაისისა და შემდეგ ბათუმის „II შევარდენის" ვარჯიშთავი იყო.

— დაჭერილი ან პასუხისგებაში მიცემული ხომ არ ყოფილხართ?

— არც ერთი. საერთოდ „შევარდენთა" კავშირის საბჭოს წევრთაგან არავინ ყოფილა რეპრესირებული.

— რუსებს და სომხებს რატომ არ იღებდით „შევარდენში"?

— არ არის სწორი ინფორმაცია. მაგალითად, ჩვენთან, „III შევარდენში" იყვნენ ცნობილი ტანმოვარჯიშეები (შემდეგ მძლეოსნები. — რედ.) ვლადიმერ და ბორის დიაჩკოვები, მალინოვსკი, გონსიაროვსკი (რომელიც შემდეგ ბაქოში ხელმძღვანელობდა ფიზიკური აღზრდის დარგის სკოლებს. — რედ.). „IV შევარდენი", რომლის ვარჯიშთავიც ვლადიმერ პროკოფიევი იყო, თითქმის მთლიანად რუსებისგან შედგებოდა. უკრაინის ტანვარჯიშის მოღვაწეები აპოლონ იგნატიევი და მიხეილ ხრაპკო აქ გაიზარდნენ. „II შევარდენში" არჩილ ბაქრაძესთან გაიზარდა სომხეთის ტანვარჯიშის ფუძემდებელი ჟორა ალიხანოვი.

— კომკავშირელებს არ იღებდნენო?

— ბატონო შალვა, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, „III შევარდენის" აქტიური წევრები იყვნენ კომუნისტები დავით კუჭავაძე, გიორგი ფირუმოვი, ჟორა როტინოვი და კიდევ ბევრი სხვა. ბათუმის „შევარდენში" ვარჯიშობდნენ საოლქო კომიტეტის მდივნები არტაშ გეურქოვი, ვასილ დარახველიძე, წევრები გრიგოლ შენგელია, გიორგი ხანაძე და სხვები, რომელნიც შემდეგ პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდნენ. ასე რომ, ბევრი „ფაქტი", რომლებიც პრესაში იბეჭდებოდა, შეფერადებული იყო „შევარდენის" დახურვის მიზნით, რაც იქნებ საჭირო იყო, მაგრამ სხვა გზითაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო.

— კარგად უნდა განსაჯოთ ყოველი წვრილმანი და წარმოიდგინოთ. ვთქვათ, გიორგი ნიკოლაძის მაგივრად ბენია ჩხიკვიშვილი რომ გყოლოდათ თავმჯდომარედ, ხომ გაგხვევდათ ავანტიურაში, ხომ გადაიქცეოდა ეს დიდი პატრიოტული ორგანიზაცია ნაციონალისტურ-შოვინისტურ რაზმად? თქვენთვის ხომ ხელი არ უხლიათ! გიორგი ნიკოლაძე უნივერსიტეტის ერთ-ერთი მოწინავე მეცნიერია, მეტალურგიაში ცენტრალური ფიგურა, ირაკლი ლორთქიფანიძე მოწინავე მეტალურგია. თქვენ სად მუშაობთ, ჩვენს გარდა? — უცბად მკითხა.

— ნაწილის პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორი ვიყავი, — მივუგე მე, — ამჟამად ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის კათედრის გამგე ვარ. დანარჩენი საბჭოს წევრებიც მუშაობენ, ზოგი ჩემთან, მაგალითად, პოეტი-მთარგმნელი მიქელ პატარიძე, ზოგი — სხვა დაწესებულებებში. ბატონო შალვა, მაინც რამ გამოიწვია თქვენი ასეთი დაინტერესება ჩვენი ანკეტით? — ვკითხე მე.

შალვამ გაიღიმა და გვითხრა:

— სერიოზული საქმისთვის გამოგიძახეთ. ამიერკავკასიის ფეხბურთელთა გუნდი, რომელშიც ნახევარზე მეტი ქართველია, გერმანიაშია მიწვეული დრეზდენისა და მიუნხენის მუშათა გუნდებთან შესახვედრად. თქვენც მიგავლინებთ გუნდთან ერთად, შეჯიბრებებზე დასასწრებლად და, თუ დაგჭირდათ, სიმართლის სათქმელადაც, რომ ჩვენი „პატიმარი" ქართველი ფეხბურთელები არც დაჭერილი არიან, არც დახვრეტილი და ისე კარგად გრძნობენ თავს მოძმე რუს, აზერბაიჯანელ და სომეხ ახალგაზრდობასთან ერთად, რომ უგებენ კიდეც შეხვედრას „თავისუფალი ქვეყნის" სპორტსმენებს. ერთი სიტყვით, აგვისტოში მოსკოვში უნდა იყოთ.

ჩვენ მართლაც მივიღეთ პასპორტები, მაგრამ გერმანიაში ვერ მოვხვდით (გუნდის მოგზაურობა, მოსკოვში ყოფნა, სიარული საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატსა და გერმანიის საელჩოს შორის, სახალხო კომისრის მოადგილის მ. ლიტვინოვის ლაპარაკი ტელეფონით გრაფ შულენბურგთან, ჩვენი დიალოგი გერმანიის საელჩოს მდივანთან, შემდეგ შუა ევროპის განყოფილების უფროს ედინბურგთან, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალისა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნებთან აუდიენცია მდინარე მოსკოვზე, ჩვენი თამაშები მოსკოვში, სტალინის ვაჟის, იაკობ ჯუღაშვილის საშუალებით ცაკ-ის მდივანთან აბელ ენუქიძესთან მოხვედრა, მის მიერ გუნდის დასაჩუქრება და მოსკოვში ცხოვრების უზრუნველყოფა, შემდეგ ფინეთში გუნდის გამგზავრება და სხვა თავისთავად მეტად საინტერესო ფურცლებია იმდროინდელი მდგომარეობის დასახასიათებლად, მაგრამ ამაზე ალბათ ცალკე აჯობებს ლაპარაკი).

აი, რას წერდა შალვას დავალებით ჩვენი ჟურნალი „ფიზიკური კულტურა" 1925 წლის მე-3 ნომერში:

„ამა წლის აგვისტოში ამიერკავკასიის ფიზიკური კულტურის უმაღლესმა საბჭომ, თანახმად წითელი ინტერნაციონალის მოწერილობისა, შეადგინა ამიერკავკასიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი გერმანიაში გასაგზავნად.

ამ მოგზაურობას ამიერკავკასიის ფეხბურთელებისა წითელი სპორტული ჯომარდული ინტერნაციონალი აკუთვნებდა განსაკუთრებულ პოლიტიკურ მნიშვნელობას, მაგრამ არც ლიუცერნის შემთანხმებელ სპორტულ ინტერნაციონალს ეძინა. იმასაც ესმოდა პოლიტიკური მნიშვნელობა ჩვენი ფეხბურთელების მოგზაურობისა და ის, როგორც ერთგული დარაჯი თავისი ბატონების (ბურჟუაზიის) ინტერესების, წინ აღუდგა ამიერ-კავკასიის ფეხბურთელების გერმანიაში შეშვებას.

გერმანიის კონსულმა ტფილისში არ მოგვცა ნებართვა გერმანიაში შესასვლელად.

გერმანიის წარმომადგენლობამ მოსკოვიდან გვიპასუხა, რომ იგი ვერ დართავს ნებას ამიერ-კავკასიის ფეხბურთელებს გერმანიაში გასამგზავრებლად, რადგან მოსკოვში სამი გერმანელი სტუდენტის გასამართლებამ გერმანიის საზოგადოებრივი აზრი აღაშფოთა.

ასეა განა ეს?

მაშ რატომ შეუშვეს გერმანიაში უკრაინის ნაკრები გუნდი. როგორც ეტყობა, იმათ არ ეხებათ სამი გერმანელი სტუდენტის პროცესი. გერმანიის საზოგადოებრივი აზრი განწყობილია რატომღაც ტფილისის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი მოსკოვში გაიმართა და არა ტფილისში.

მაშ რაშია საქმე? სად მარხია ძაღლის თავი?

ავხადოთ ფარდა და დავინახოთ სინამდვილე.

უკრაინის გუნდმა, როგორც ვიცით, მიიღო ნებართვა გერმანიაში შესასვლელად. და აი ლატვიის საზღვარზე იმათ აკავებს ლატვიის ხელისუფლება. რა მიზეზით? ეძებენ ქართველებს. ეხლა ხომ ყველაფერი გასაგებია. დაუგდოთ ყური რას სწერენ ამის შესახებ გერმანელი ამხანაგები: „არა მარტო ლატვიის, არამედ გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებიც აფერხებდნენ მათ შესვლას გერმანიაში იმ მოსაზრებით, რომ მათ რიცხვში არიან ქართველები. ნუ თუ ასე ეშინიათ სიმართლის გაგონება საქართველოზე".

სწორედ იმასვე აღნიშნავს „ფორვერტსი": „როგორც სჩანს გერმანიაში ეშინიათ, რომ ქართველი მუშები ამხილენ მენშევიკურ სიცრუეს საქართველოს შესახებ".

აი, რაში ყოფილა საქმე.

გერმანიის მთავრობა არ გვაძლევს ნებართვას. უკრაინის გუნდში ეძებენ ქართველებს.

ჩვენი გუნდი კი შესდგებოდა ქართველ, სომეხ, აზერბაიჯანელ, ბერძენ და აფხაზ მუშებისაგან, ყოველგვარი ზომები იყო მიღებული იმისთვის, რომ არ შევეშვით გერმანიაში. პირდაპირ ვერ გვითხრეს, რომ ამიერკავკასიის ფეხბურთელებს არ უშვებთო. და ამიტომ მოიმიზეზეს გერმანიის სტუდენტების გასამართლება. ამ პასუხმა ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილა. მაშინ გერმანიის წარმომადგენელმა მიმართა დიპლომატიურ ხერხს, გარკვეული პასუხის დაგვიანებას.

ჩვენ უსახსრობის გამო ვერ მოვიცადეთ მოსკოვში და წამოვედით ისე, რომ გარკვეული პასუხი არც კი ვიცოდით.

მხოლოდ ეხლა მივიღეთ წითელ ჯომარდულ ინტერნაციონალიდან ცნობა, რომ გერმანიის წარმომადგენლობამ გამოგზავნა ასეთი პასუხი: „ამიერკავკასიის ფეხბურთელებს ნებას ვერ დავრთავთ იმის გამო, რომ გერმანიის მუშათა ჯომარდულ-ტანვარჯიშულმა კავშირმა აკრძალა თამაში წითელ ჯომარდულ ინტერნაციონალის სექციებთან.

ახსნა-განმარტება აღარ არის საჭი-

დასასრული. იხ. „ლელო" № 182.

## სად, როდის, როგორ...

მატჩი გაიმართება მოსკოვში, კავშირების სვეტებიან სახლში (1374 ადგილი). VIII პარტიიდან იგი პ. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში (1500 ადგილი) გაგრძელდება.

15 სექტემბერს მატჩის საზეიმო გახსნაა, 16-ში — I პარტია. მეტოქენი კვირაში სამ პარტიას ითამაშებენ (ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს), ყველა მომდევნო დღეს გადადებული პარტიის დამთავრება შედგება.

გამარჯვებულად გამოცხადდება ის მოჭადრაკე, რომელიც პირველი მოიგებს ხუთ პარტიას, ოღონდ 24 პარტიაზე მეტი არ გათამაშდება. თუ პარტიების ეს რაოდენობა ისე ამოიწურება, რომ ვერც ერთმა ვერ შეასრულა მატჩის პირობა, მაშინ გამარჯვებულად დაასახელებენ იმ მოჭადრაკეს, რომელსაც ამ დროს ანგარიშში უპირატესობა ექნება. თუ ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა, მაშინ გამარჯვებულს კენჭისყრა გამოავლენს.

გამარჯვებული მოჭადრაკე 1975 წლის 1 ივნისს შეხვდება რ. ფიშერს მატჩში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. თუ ამერიკელმა თამაშზე უარი განაცხადა, მაშინ პრეტენდენტი მსოფლიო ჩემპიონად გამოცხადდება.

მატჩის მთავარი მსაჯია საერთაშორისო არბიტრი, საერთაშორისო დიდოსტატი ჰ. ო'კელი (ბელგია). მისი მოადგილეა საერთაშორისო არბიტრი, საერთაშორისო დიდოსტატი ს. ფლორი (სსრ კავშირი).

# კარპოვი თუ კორჩნოი?



ანატოლი კარპოვი დაიბადა 1951 წლის 21 მაისს ტულაში. 1966 წელს სპორტის ოსტატი გახდა, 1969 წელს — საერთაშორისო ოსტატი, 1970 წელს — საერთაშორისო დიდოსტატი, 1974 წელს — სპორტის დამსახურებული ოსტატი. ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონი (1970 წ.). 1973 წელს მიიღო „ჭადრაკის ოსკარი"—მსოფლიოში წლის საუკეთესო მოჭადრაკის ჯილდო. XXI საჭადრაკო ოლიმპიადაში ნიცაში პირველ დაფაზე I ადგილის მფლობელი. ლენინგრადის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტი. სეკუნდანტები: დიდოსტატები ს. ფურმანი (ლენინგრადი), ე. გელერი (მოსკოვი).

ვიქტორ კორჩნოი დაიბადა 1931 წლის 23 ივლისს ლენინგრადში. 1951 წელს სპორტის ოსტატი გახდა, 1953 წელს — საერთაშორისო ოსტატი, 1956 წელს — საერთაშორისო დიდოსტატი, 1960 წელს — სპორტის დამსახურებული ოსტატი. სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი. მსოფლიოს 6 და ევროპის 5 გუნდური ჩემპიონატის ოქროს მედლის მფლობელი. პრეტენდენტთა მატჩების ორგზის მონაწილე. ლენინგრადის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული (ისტორიკოსი). სეკუნდანტები: საერთაშორისო ოსტატები ვ. ოსნოსი (ლენინგრადი), რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი).



ეს საკითხი აღელვებს ყველას, ვინც გულგრილი არ არის პრეტენდენტთა ფინალური მატჩისადმი. ცხადია, ორივე მეტოქეს ჰყავს ქომაგები. მათი პროგნოზები, რასაკვირველია, ტენდენციურია. ჟურნალისტების მისნობა უფრო დასაჯერებელია, თუმცა ზოგჯერ სიმპათიები მათაც ხელს უშლით ობიექტურობაში. უმრავლესობა გამარჯვებას კარპოვს უწინასწარმეტყველებს. საკმაოდ სარწმუნო არგუმენტებიც მოჰყავთ. მაგალითად, კარპოვის ახალგაზრდობა. იგი ხომ იმ წელიწადს დაიბადა, როცა კორჩნოი ოსტატი გახდაო. ან კიდევ, კარპოვმა ოლიმპისკენ ეკლიანი გზა ოთხ წელიწადში განვლო, კორჩნოის კი თითქმის ოცი წელი დასჭირდაო. ჟურნალისტები, რომლებიც კორჩნოის უჭერენ მხარს, თავიანთი კერპის დიდ გამოცდილებას მთავარ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ესოდენ ძნელი მატჩის ბედის განჭვრეტა შეუძლებელია. ამიტომ უფრო საინტერესოა, გაიგო, რას ფიქრობენ თვით მონაწილენი.

სხვადასხვა ინტერვიუში კარპოვმა თქვა: „ნებისმიერ თანამედროვე მოჭადრაკესთან მატჩში გამარჯვების შანსი მაქვს. ყოველ პარტიას მოგებაზე ვთამაშობ, მეტოქის წინაშე შიშის გრძნობა სრულებით არა მაქვს". „კორჩნოი სერიოზული მეტოქეა. არავისი მეშინია. ვიბრძოლებ გამარჯვებისთვის".

კორჩნოიმ განაცხადა: „კარპოვთან ოფიციალურ შეჯიბრებებში ხუთი პარტია მაქვს ნათამაშევი. ოთხი მათგანი, რომლებშიც თეთრებით ვიყავი, შედეგიანია, ანგარიშია 2:2. შავებით ნათამაშევი პარტია ყაიმით დავამთავრე. როგორც ბევრ დიდოსტატს, მეც მიმაჩნია, რომ კარპოვს ზრდის უშრეტი წყარო აქვს. სხვათა შორის, ფიშერმაც შენიშნა, რომ უსაზღვროა კარპოვის ზრდის შესაძლებლობა". „კარპოვს დიდი მომავალი აქვს, მაგრამ მატჩს ფიშერთან მე ვითამაშებ".

როგორც ხედავთ, კარპოვსა და კორჩნოის სჯერათ თავიანთი ბედის ვარსკვლავისა. „კორჩნოის წინააღმდეგ თამაში საინტერესოა, ოღონდ საჭიროა მზად იყო შეუპოვარი დაცვისთვის და დროულად გამოიყენო იერიშის შანსი".

მატჩი საინტერესო რომ იქნება, არავის ეეჭვება. მეტოქენი განსხვავებული სტილით თამაშობენ.

კარპოვი ძალიან რაციონალურია, თამაშობს მყარ პოზიციურ ყაიდაში, ურისკოდ, ტექნიკური ხერხების უხვი გამოყენებით. ამიტომაც, როგორც თავის დროზე გენიალური კაპაბლანკა, იშვიათად აგებს პარტიას. სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ ბოლო ექვსი წლის მანძილზე კარპოვმა მხოლოდ 17 პარტია წააგო, თუმცა მსოფლიო, საკავშირო პირველობებში და დიდ საერთაშორისო ტურნირებში თამაშობდა.

კორჩნოი კონტრთამაშის მოჭადრაკეა. უყვარს გრძელი ვარიანტების გამოანგარიშება. ფიშერი ამბობს: „კორჩნოი კონკრეტული თამაშის ოსტატია და რამდენადაც პოზიცია დახლართულია, იგი თავს მით უფრო იმედიანად გრძნობს. ყოველი მისი სვლა მეტოქეს რთული ამოცანების წინაშე აყენებს". კორჩნოის ყაიმები არ უყვარს. ამიტომ ხშირად მიდის რისკზე, ოღონდ კი გართულებათა მორევში ჩაითრიოს მეტოქე. მართალია, კორჩნოი ხშირადაა ცაიტნოტში (კარპოვი ძალიან მსუბუქად და სწრაფად თამაშობს), მაგრამ კრიტიკულ მომენტში სალად აზროვნებს, არ იბნევა. მისი მთავარი ძალაა სადებიუტო თეორიის ღრმა ცოდნა.

შეუძლებელია გამოიცნო მსოფლიო ჩემპიონის მომავალი მეტოქე დიდოსტატთა სტილის მიხედვით. გადამწყვეტი ისაა, ვინ როგორ გამოიყენებს თავის ნიჭს, ცოდნასა და დაფაზე შექმნილ სიტუაციას.

უნდა ვიფიქროთ, რომ მეტოქენი მატჩს სრულყოფილად მომზადებული იწყებენ და საჭადრაკო ხელოვნებას ახალ შედევრებს შესძენენ.

თ. გიორგაძე.

# ნახევარი გზა განვლეს

სოხუმი, 14 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი III საკავშირო ტურნირი. მონაწილეებმა დისტანციის ნახევარი განვლეს. 6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ბ. კატალიმოვი — 4,5 ქულა, მ. მუხინი (ორივე — ალმა-ათა) — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ზ. მიქაძე (თბილისი), ე. ბუხმანი (ლენინგრადი), მ. ცეიტლინი (მოსკოვი), ა. ტუზოვსკი (სოხუმი), ე. ვლადიმიროვი (ალმა-ათა) — 3,5-3,5.

ვიდრე ბოლო სამი (IV, V და VI) ტურის შედეგებს გაგაცნობთ, გთავაზობთ წინა ტურების რამდენიმე შეხვედრის შედეგებს. I ტურიდან გამოტოვებულ პარტიაში ი. ჩიქოვანმა მოუგო გ. ზაიჩიკს (ორივე — თბილისი), ხოლო კატალიმოვ — ტუზოვსკის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. II ტურში ჩიქოვანმა სძლია ს. როზენბერგს (მოსკოვი), ჯ. ბერაძე (წყალტუბო) და ცეიტლინი კი ყაიმზე შეთანხმდნენ.

IV ტურში მხოლოდ ბერაძემ გაიმარჯვა. მან ა. ბოკუჩავას (თბილისი) სძლია. დანარჩენი ექვსი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. V ტურში ბოკუჩავამ „რევანში აიღო", როზენბერგი დაამარცხა. პირველად გაიმარჯვა ახალგაზრდა ზაიჩიკმა, რომელმაც ამ ტურნირში ტუზოვსკის ასევე პირველად ათქმევინა დანებების აღმნიშვნელი უსიამოვნო სიტყვა. გადაიდო მუხინ —ჩიქოვანის პარტია. დანარჩენ ოთხ შეხვედრაში მეტოქენი დაზავდნენ.

უფრო შედეგიანი აღმოჩნდა VI ტური. ზაიჩიკმა კვლავ მოიგო (ამჯერად ჯანოევთან). ა. ვოორემაა (ტალინი) დამარცხდა მუხინთან, როზენბერგი — ვლადიმიროვთან, ჩიქოვანი — კატალიმოვთან. ზედიზედ ხუთი ყაიმის შემდეგ მიქაძემ ბერაძესთან ორთაბრძოლაში პირველი ქულა ჩაიწერა. ყაიმზე შეთანხმდნენ ბოკუჩავა — ცეიტლინი და ბუხმანი — ტუზოვსკი.

რ. კაკიაშვილი,
მემორიალის მთავარი მსაჯი,
საერთაშორისო არბიტრი.

# ახალი ამბები-74

● სიმფეროპოლი, 13 სექტემბერი. გუშინ სიმფეროპოლში გაიხსნა ევროპის სტუდენტ ველოსიპედისტთა პირველი ოფიციალური ჩემპიონატი. შეჯიბრების პროგრამაშია გუნდური რბოლა 75 კილომეტრზე, ჯგუფური რბოლა 100 კილომეტრზე, უკონკურსოდ კი ჩატარდება კრიტერიუმი სიმფეროპოლის ქუჩებში. საბჭოთა გუნდში არიან მოსკოველები ა. ვასკოვსკი, ბ. ბარსუკოვი, ომსკელები ვ. სკოსირევი, ა. ჟურავლიოვი, ა. ლაზარევი და კიეველი ვ. ფიოდოროვი. პირველ სახეობაში — 75 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა — 1:37.17,5. II ადგილზე გავიდა იტალიის გუნდი, ხოლო III — დასავლეთგერმანელთა კოლექტივი.

● მოსკოვი, 13 სექტემბერი. გაზეთ „იზვესტიის" პრიზის გათამაშების მესამე მატჩში დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ფინეთის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდები. ამჯერად ბრძოლა უაღრესად მძაფრი იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრაში ფინელები თვალსაჩინოდ დაწინაურდნენ — 2:0. მერე იაკუშევმა და მალცევმა გაქვითეს ანგარიში, ხოლო საბოლოო წარმატება საბჭოთა გუნდს ლუტჩენკომ და შალიმოვმა მოუტანეს — 4:3 (0:0, 2:2, 2:1).

● ბერკლი, 13 სექტემბერი. ინგლისის ამ ქალაქში დიდ ინტერესს იწვევს მსოფლიო ჩემპიონატი ცხენოსნურ სამჭიდში. სწორედ აქ 12 წლის წინათ დებიუტი ჰქონდათ საბჭოთა მხედრებს, რომლებმაც გამარჯვებით აღნიშნეს თავიანთი პირველი გამოსვლა. პროგრამის პირველი სახეობის — სამანეჟო სვლის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა მოსკოველი არმიელი ვ. ლანიუგინი — 42,33 ქულა. მას კვალში მისდევენ მ. პლიოვე (გფრ) და ბ. დევიდსონი (აშშ). თითოეულს 45,67 ქულა აქვს. გუნდურ ჩათვლაში გფრ-ის წარმომადგენლები დაწინაურდნენ. II ადგილზე არიან ამერიკის შეერთებული შტატების ცხენოსნები, III — დიდი ბრიტანეთის სპორტსმენები. საბჭოთა ცხენოსნები V ადგილზე აღმოჩნდნენ.



ტალინი. აქ დამთავრდა მოტორბოლაში სსრ კავშირის XXVII პირად-გუნდური ჩემპიონატის IV, დასკვნითი ეტაპი. ასპარეზობისას ტრასის რამდენიმე რეკორდი დამყარდა.

• • •

სურათზე: „350-ანების" კლასში სსრ კავშირის ჩემპიონი ი. ბლუმფელდე (ლატვია) ასპარეზობის დროს.

პ. კუზნეცოვის ფოტო (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა





## ობიექტივში მსოფლიო

ამ ორ სურათს, მიუხედავად იმისა, რომ მათზე სრულიად განსხვავებული ტიპების მანქანებია აღბეჭდილი, ერთი რამ აკავშირებს: ორივე რბოლის დროსაა გადაღებული.

მარცხენა ფოტოზე მაინის ფრანკფურტის (გფრ) მახლობლად ჩატარებული ავტოკროსის მომენტს ხედავთ. ერთი შეხედვით ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ მასიურ მანქანებს შეიძლება ისეთი რამ დაემართოთ, როგორსაც სურათზე ხედავთ — ბორბალი მოძვრეთ. მაგრამ ეს ასეა. დაზარალებული ავტომობილიც, ბუნებრივია, პირველობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. მაგრამ თუ იგი ქვა-ღორღით მოფენილ ტრასაზე მიდიოდა, მარჯვენა სურათზე აღბეჭდილ რომელიმე მანქანას პატარა ამგვარი წინაღობაც რომ შეხვდეს, ჰაერში აფრინდება... სურათი პირველი ფორმულის მანქანებისთვის „ესპანეთის დიდი პრიზის" სტარტის შემდეგაა გადაღებული. ეს პრიზი სახელგანთქმულმა ბრაზილიელმა ავტომრბოლელმა ემერსონ ფიტიპალდიმ მოიგო.

დოიჩე პრესე აგენტურისა და ციფრა გრაფიკას ფოტოები.

## იამადა გულახდილად ლაპარაკობს, რაღაცას მალავს, დუმს...

საბჭოთა კავშირში სულ ახლახან ყოფნისას იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდის მწვრთნელმა სიგეო იამადამ ჟურნალისტებთან სასაუბროდ თავისი დროის ბიუჯეტიდან მხოლოდ ორჯერ შეძლო გამოეყო 45-45 წუთი. იგი გულახდილად იძლეოდა პასუხს შეკითხვებზე, რომლებიც ეხებოდა მას ან იაპონიის ჩემპიონატის სისტემას, რაღაცას მალავდა, როცა მას მეხსიკის მსოფლიო ჩემპიონატისთვის იაპონიის გუნდის მომზადების თავისებურებებზე ეკითხებოდნენ და დუმდა ან ხუმრობდა, როცა სურდათ მისთვის მსოფლიო პირველობის გარშემო პროგნოზები დაეტყუებინათ.

რამდენიმე სიტყვა თვით იამადაზე. იგი 43 წლისაა. ტოკიოდანაა. პროფესიით მასწავლებელია. მუშაობს ფირმა „ხიტაჩიში" — დაკავებულია საწყის ეტაპზე მუშებისა და მოსამსახურეების საწარმოო სწავლებით. მაგრამ, რაც მთავარია, იგი პასუხს აგებს ფირმაში საფრენბურთო საქმეებზე და იაპონიის ფრენბურთის ასოციაციის მუშაკია — ქალთა გუნდს პასუხსაგებ შეჯიბრებებისთვის ამზადებს.

იამადა ფრენბურთს თამაშობდა 12 წლის ასაკიდან, მერე იაპონიის სტუდენტთა პირველობაში თავისი უნივერსიტეტის გუნდის ღირსებას იცავდა.

— რა სისტემით ტარდება იაპონიის ჩემპიონატი?

— ჩვენს ქვეყანაში ჩემპიონატის ოთხი სახეობაა. მაისში მიმდინარეობს ქალაქების შეჯიბრება. მონაწილეობს ასზე მეტი გუნდი. ოქტომბერში სახალხო ჩემპიონატია. ასპარეზობები ტარდება სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მათ რიცხვში — ფრენბურთშიც. ეს ყველაზე მასობრივი ჩემპიონატია. ნოემბერში — სტუდენტთა ჩემპიონატი. იანვარ-მარტში — უმაღლესი ფორმა — ჩემპიონატი კლუბებს შორის სამ ლიგაში. პირველ მათგანში 6 გუნდია, მეორეშიც — 6, მესამეში — დაახლოებით 100. წლევანდელი ჩემპიონია „ხიტაჩი", საიდანაც ნაკრებში ექვსი ფრენბურთელი მიეიწვიე. ლიგებს შორის გაცვლა-გამოცვლა ორი გუნდია. თამაშები — ორ წრედ.

— დღეში რამდენ საათს ვარჯიშობენ იაპონიის ნაკრების ფრენბურთელი ქალები?

— როცა ისინი კლუბებში თამაშობენ, დღეში ორ-სამ საათს ვარჯიშობენ, როდესაც ნაკრებში — 2 საათს დილით და ორს — საღამოთი.

— ოსტატობის რომელ კომპონენტს აფასებთ თქვენ ყველაზე მეტად სპორტსმენში: ტექნიკას, ფიზიკურ ძალას თუ მორალურ-ნებელობითს თვისებებს?

— ყველაფერს ერთნაირად. რომელიმე მათგანი თუ „ამოვარდა", გუნდი წაგებას დაიწყებს.

— ასეთ შემთხვევაში თქვენ გუნდში ყველაზე სუსტ ადგილად რა მიგაჩნიათ?

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ:

— ფიზიკური ძალა.

— ცნობილია იაპონელი ფრენბურთელი ქალების მოქნილი, თავგანწირული თამაში დაცვაში. რის ხარჯზე მიიღწევა ეს? იქნებ, ეს ბუნების მადლია?

— არა, მხოლოდ საწვრთნელი მეცადინეობის ხარჯზე. სპორტსმენები საათობით აწვდიან და იღებენ ბურთს, აწვდიან და იღებენ...

— როგორ უყურებთ ფრენბურთში ახალი წესების შეტანას?

— მე იმის მომხრე ვარ, რომ დაავიწროვონ მანძილი ანტენებს შორის, რომ ფრენბურთელებს ბლოკის შემდეგ სამი დარტყმის უფლება მისცენ... ბოლო ხანს ბევრი ლაპარაკია იმაზე, რომ გადაიყვანონ ფრენბურთის თამაში დროზე (როგორც, მაგალითად, ჰოკეიშია). მე ამის წინააღმდეგი ვარ. ფრენბურთი იმითაა წარმტაცი, რომ თუ ერთი გუნდი, მაგალითად, შეხვედრას აგებს 0:2-ზე, მას შემდეგ შეუძლია თამაშში გარდატეხის შეტანა და გამარჯვებაც. სწორედ ეს მოსწონთ მაყურებლებს, რომლებიც ფრენბურთის მატჩებს ესწრებიან.

— რა შეგიძლიათ თქვათ ძალთა თანაფარდობაზე მსოფლიოს ქალთა ფრენბურთში?

— მსოფლიოს ქალთა ფრენბურთი ესაა პირამიდა, რომლის წვერზე ორი ნაკრებია: საბჭოთა კავშირი და იაპონია. ცოტა ქვემოთ — კუბის, გდრ-ის და სამხრეთ კორეის გუნდებია, კიდევ ქვემოთ — ყველა დანარჩენი. მე მიმაჩნია, რომ საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ფრენბურთელთა მუდმივი კონტაქტები ხელს უწყობენ ფრენბურთის განვითარებას მთელს მსოფლიოში.

— თქვენი პროგნოზები მეხსიკის მსოფლიო ჩემპიონატის გარშემო?

— პირველი ფავორიტი საბჭოთა ნაკრებია. ჩვენი ახალგაზრდული გუნდის მიზანი მეხსიკა არაა და, ასე განსაჯეთ, არც 1976 წლის მონრეალი. ჩვენ ვისურვებდით გამარჯვებას 1980 წლის ოლიმპიადაში, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მოსკოვში შედგება. ამით საჩუქარს მივუძღვნიდით ათ მილიონ ადამიანს, რომლებიც იაპონიაში ფრენბურთს თამაშობენ.

ა. გორბუნოვი.
(საკდესის კორ.).

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ჩემპიონატები, თასები, პირველობა

### ინგლისი

წინა შაბათს გაიმართა ქ[illegible] ჩემპიონატის VI ტური. გათამაშების ლიდერმა „ლივერპულმა" შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური" — 5:2. სხვათა შორის, „ტოტენჰემის" მენეჯერი ბილ ნიკოლსონი, რომელიც მრავალ წელიწადს ხელმძღვანელობდა კლუბს, პოსტიდან გადადგა. იქნებ სწორედ ამან გამოიწვია მიმდინარე ჩემპიონატში „ტოტენჰემის" მეტისმეტად უხეირო სტარტი.

„იფსვიჩ თაუნმა" მინიმალური ანგარიშით (1:0) სძლია ლივერპულის „ევერტონს". ასეთივე ანგარიშით დამთავრდა ლონდონში გამართული შეხვედრა ადგილობრივ „ქუინზ პარკ რეინჯერსსა" და „ბირმინგემს" შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა. ეს დღე საერთოდ ძალიან უიღბლო გამოდგა დედაქალაქის გუნდებისთვის: I და II ლიგებში მოთამაშე ლონდონის 8 გუნდიდან მხოლოდ „ჩელსიმ" შეძლო ქულის აღება — ფრედ ითამაშა „მიდლსბროსთან". ასევე ფრედ დასრულდა „ლიდს იუნაიტედისა" და I ლიგის ახალბედა „ლუთონ თაუნის" მატჩი.

აი, როგორია გათამაშების ცხრილი 6 ტურის შემდეგ:

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 5 | 1 | 0 | 14:4 | 11 |
| „იფსვიჩ თაუნი" | 5 | 0 | 1 | 9:3 | 10 |
| „მანჩესტერ სიტი" | 4 | 1 | 1 | 11:8 | 9 |
| „სტოკ სიტი" | 3 | 2 | 1 | 9:4 | 8 |
| „შეფილდ იუნაიტედი" | 3 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| „ევერტონი" | 3 | 2 | 1 | 8:6 | 8 |
| „კარლაილი" | 3 | 1 | 2 | 6:4 | 7 |
| „მიდლსბრო" | 2 | 3 | 1 | 7:5 | 7 |
| „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" | 2 | 3 | 1 | 8:7 | 7 |
| „დერბი ქაუნთი" | 1 | 4 | 1 | 6:6 | 6 |
| „ნიუკასლ იუნაიტედი" | 2 | 2 | 2 | 12:12 | 6 |
| „ჩელსი" | 2 | 2 | 2 | 9:11 | 6 |
| „ბერნლი" | 2 | 1 | 3 | 9:9 | 5 |
| „ლესტერ სიტი" | 1 | 3 | 2 | 8:9 | 5 |
| „ქუინზ პარკ რეინჯერსი" | 1 | 3 | 2 | 4:5 | 5 |
| „არსენალი" | 2 | 0 | 4 | 6:7 | 4 |
| „ლუთონ თაუნი" | 0 | 4 | 2 | 4:7 | 4 |
| „ბირმინგემ სიტი" | 1 | 2 | 3 | 6:10 | 4 |
| „ლიდს იუნაიტედი" | 1 | 2 | 3 | 4:8 | 4 |
| „კოვენტრი სიტი" | 0 | 3 | 3 | 7:13 | 3 |
| „ვესტ ჰემ იუნაიტედი" | 1 | 1 | 4 | 5:11 | 3 |
| „ტოტენჰემ ჰოტსპური" | 1 | 0 | 5 | 5:10 | 2 |

„მანჩესტერ იუნაიტედმა", რომელიც, როგორც იცით, II ლიგაში გადავიდა, გასულ შაბათს პირველი მატჩი დაამთავრა ფრედ (მანამდე ოთხივე შეხვედრა მოიგო) და ახლა 9 ქულით I ადგილზეა. მას ბურთების კარგი შეფარდება აქვს — 11:3.

(საკ. ინფ.).





ძვირფასო მეგობრებო, სპორტის მოყვარულებო!

მოგაგონებთ, რომ გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „ლელოზე" 1975 წლისთვის.

ხელმოწერა შეუზღუდავია და მიიღება „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებაში.

ხელმოწერის ფასი: 1 თვით — 65 კაპ., 3 თვით — 1 მან. 95 კაპ., 6 თვით — 3 მან. 90 კაპ., 12 თვით — 7 მან. 80 კაპ.


### ბოლო ცნობები მსოფლიოდან ... 19[45]

◆ ლონდონი, 14 სექტემბერი. „კრისტალ პალასის" სტადიონზე მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება მსოფლიო რეკორდით აღინიშნა სპორტული სიარულის ერთობ იშვიათ დისტანციაზე — ერთ მილზე. რეკორდი დაამყარა ინგლისელმა რ. მილსმა — 6.09,0. მისმა თანამემამულემ, ევროპის ჩემპიონმა ა. პასკოემ ბრიტანეთის რეკორდით გაიმარჯვა 400 მეტრზე თარჯრბენში — 49,3. 100 და 200 მეტრზე რბენაში კონტინენტის ჩემპიონმა ი. შევინსკამ (პოლონეთი) მოიგო 400 მეტრზე რბენა (50,4), ხოლო მისმა თანაგუნდელმა ბ. მალინოვსკიმ 3000 მეტრზე წინაღობებით შეჯიბრებაში აჯობა ყველას — 8.21,6. ორი მოგება ამერიკელთა წილად მოდის: ა. ფოიერბახმა 20,96 მეტრზე ჰკრა ბირთვი, ხოლო დ. სტოუნზმა 220 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი აწყობს თბილისში მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა ატესტაციას. ცენტრალური საატესტაციო კომისია მუშაობს შემდეგ დღეებში:

16 სექტემბერი. მთამსვლელობა, ბადმინტონი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი.

17 სექტემბერი. კრივი, ძალოსნობა, ფარიკაობა, ხელბურთი.

18-19 სექტემბერი. ჭიდაობის ყველა სახეობა.

20 სექტემბერი. ფრენბურთი, კალათბურთი, რეგბი.

23 სექტემბერი. ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა.

24 სექტემბერი. ნიჩბოსნობის ყველა სახეობა, სპორტის ზამთრის სახეობები, ბატუტი, აფროსნობა, ჭადრაკი.

25 სექტემბერი. მძლეოსნობა.

26 სექტემბერი. ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი.

27 სექტემბერი. ფეხბურთი, სროლა.

30 სექტემბერი. ველოსპორტი, ცხენოსნობა.

ატესტაცია იწარმოებს 16 საათიდან საქართველოს სპორტკომიტეტში (ჯაფარიძის ქ. № 4).

ИНДЕКС 66443 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02023